პროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება	**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება**
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი	**02 02**
პროგრამის განმახორციელებელი	**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია**
პროგრამის აღწერა და მიზანი (მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები)	საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს შორის, ყველაზე ეფექტიან ტრანსპორტადაა მიჩნეული. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში, როცა კერძო ტრანსპორტი იწვევს დატვირთულობას და ქმნის საცობებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას ცალკე გამოჰყოფენ მისი შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. ყოველივე აღიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება, რაც გულისხმობს თანამედროვე, ადაპტირებულ და საჭიროების მქონე ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სერვისს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პარკირების სერვისისა და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მართვა.

პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ქვეპროგრამის ფარგლებში არსებული ძირითადი ღონისძიებები	**წლის გეგმა**	**წლის საკასო შესრულება**	**შესრულება პერიოდის (%)**	**შენიშვნა**
მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება - 02 02 01	**43,296,200**	**42,269,794**	**98%**	
შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა)	23,756,900	22,730,588	96%	
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური მიკროავტობუსების და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება (კაპიტალის გაზრდა)	19,539,300	19,539,205	100%	
სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება 02 02 02	**113,400**	**0**	**0%**	
პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება; KfW ბანკთან შეთახმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება	113,400	0	0%	
სულ პროგრამაზე მიმართული და გაწეული ფულადი სახსრები	**43,296,200**	**42,269,794**	**98%**	
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი		**მიღწეული შედეგი**	ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი

№	დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
წლიურად გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა	21,000,000	25,700,000	25,884,100	-1%	მიღწეულ მაჩვენებელში შეყვანილია 2025 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაცემები. აღნიშნული მონაცემი არ შეიცავს საგარეუბნო მარშუტებზე გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას, რაც ამავე პერიოდისათვის შეადგენს 1 693 166 მგზავრს. ჯამურად 2025 წელს მგზავრთა დენადობა საქალაქო და საგარეუბნო მარშუტებზე შეადგენს 27 577 260 მგზავრს, რაც 2024 შესაბამის მაჩვენებელს 8,3 %-ით აღემატება.
მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა წლების მიხედვით	21	26	29	-12%	
მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების ქსელის საერთო სიგრძე (კმ)	440	507.8	544	-7%	

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება
ქვეპროგრამის დასახელება და კლასიფიკაციის კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება - 02 02 01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტს" საოპერაციო დეფიციტის დასაფარად მიღებული აქვს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისგან 42 269 794 ლარის ასიგნებები. აქედან 15 784 341 ₾არი გათვალისწინებული იყო სახელფასო დეფიციტის, ხოლო 6 946 248 ₾ლარი მუნიციპალური ტრანსპორტის საწვავის ხარჯის დაფინანსებასათვის. ბათუმის ავტოტრანსპორტი მიმდინარე ეტაპზე უზრუნველყოფს მგზავრთა რეგულარულ გადაყვანას როგორც ქალაქის, ასევე ქალაქგარე მიმართულებით. ქ. ბათუმის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 29 სხვადასხვა მარშუტის მიმართულებით, ხოლო ქალაქგარე (ხელვაჩაური, ქობულეთი, შუახევი) მიმართულებით მგზავრთა გადაყვანას ახორციელებს 52 სხვადასხვა სამარშუტო ხაზზე. 2025 წლის მდგომარეობით მგზავრთა გამტარიანობის მაჩვენებელმა შეადგინა საქალაქო მარშუტებზე 25 884 100, ხოლო საგარეუბნო მარშუტებზე 1 693 166 მგზავრი. ჯამში 27 577 260 მგზავრი. საშუალო თვიური მგზავრთა გამტარიანობის ნაკადი თვეში შეადგენს 2 298 105;
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით წლის დაზუსტებული გეგმის 19 539 300 ₾ ფარგლებში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ იქნა 25 ერთეული OTOKAR-ის ფირმის 12 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების I ეტაპის ღირებულება 7,341,360 ლარის ოდენობით, ასევე 100 ერთეული FORD-ის ფირმის M2 კატეგორიის მიკროავტობუსების I ეტაპის ღირებულების ანგარიშსწორების მიზნით დაფინანსებულ იქნა 7,516,860 ლარი. არაფინნასური აქტივების გეგმის დარჩენული რესურსი 4 681 000 ლარი, გამოყენებული იქნა მიმდინარე წელს M3 კატეგორიის 10 ერთეული 10-12 მეტრიანი და 8 ერთეული 6-8 მეტრიანი მუნიციპალური ავტობუსების შესყიდვაზე დასრულებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო ანგარიშსწორებისათვის. საერთო ჯამში არაფინანსური აქტივების მიმართულებით დაფინანსებული იქნა 19 539 205 ლარი საიდანაც მომწოდებლებზე ეტაპობრივი ანგარიშსწორებისათვისა და ავანსის სახით გადარიცხულია 19 123 205 ლარი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი
	უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი	უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ეფექტური მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
თვის განმავლობაში მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებულ მგზავრთა რაოდენობა	2,142,000	2,142,000	2,298,105	-7%	
ადაპტირებული ავტობუსების პროცენტული მაჩვენებელი	100%	100%	100%	0%	

მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა	21	26	29	-	
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია					

ქვეპროგრამის შედეგების შეფასების ფორმა

პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება
ქვეპროგრამის დასახელება და კლასიფიკაციის კოდი	სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება - 02 02 02
ქვეპროგრამის განმახორციელებელი (ორგანიზაცია/სამსახური)	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების (ITS) განვითარება, ასევე, ველოგადაადგილების გენერალური გეგმით დასახული ველო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაუმჯობესება-გაფართოების ღონისძიებების განხორციელება. საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით: • პროექტის ფარგლებში ჩატარებული დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის (Feasibility Study) საფუძველზე, KfW-სა და ბათუმის მერს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლითაც განისაზღვრა პროექტის განხორციელების ძირითადი პარამეტრები. აღნიშნულზე დაყრდნობით მომზადდა განსაკუთრებული შეთანხმება, რომელიც ხელმოსაწერად გადაგზავნილია ბანკში. • პროექტის აღმასრულებელი კონსულტანტის შესარჩევად გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერის წინასაკვალიფიკაციო ეტაპი. კვალიფიკაცია გაიარა ოთხმა კომპანიამ, რომლებიც 2026 წლის პირველ კვარტალში მოწვეული იქნებიან ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოსადგენად. კონტრაქტის გაფორმება მოსალოდნელია 2026 წლის II კვარტლის დასაწყისში.
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში მიღწეული წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები	სატრანსპორტო მოდელის შემუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადდა შეზღუდული კონკურენტული ტენდერი. მიღებულია ერთი წინადადება, რომელიც შეფასების პროცესშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელი კონსულტანტის მიერ განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შეთანხმება მოსალოდნელია 2026 წლის II–III კვარტლებში. სატრანსპორტო მოდელის განახლების ფარგლებში შესაბამისი კვლევები განხორციელდება 2026 წელს. სატრანსპორტო მოდელის განახლებისთვის განსაზღვრულია 12-თვიანი პერიოდი, შესაბამისი კონტრაქტის გაფორმების დღიდან.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის ფაქტიური მაჩვენებელი
	გაუმჯობესებულია ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემები, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	-

დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორის დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
სატრანსპორტო მოდელის განახლების მომსახურების ფარგლებში ჩატარებული კვლევები	0	1	0	100%	პროექტის დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებასა და მის საფუძველზე პროექტის ძირითადი პარამეტრების

შეთანხმებული საკონსულტაციო მომსახურების განხორციელების გეგმა-გრაფიკი	0%	100%	0%	100%	შეთანხმებას დასჭირდა მოსალოდნელზე მეტი დრო, რამაც მომსახურების შესყიდვის პროცესის გადავადება გამოიწვია.
საბიუჯეტო ორგანიზაციის არგუმენტაცია/დასაბუთება - თუ ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია		პროექტის დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებასა და მის საფუძველზე პროექტის ძირითადი პარამეტრების შეთანხმებას დასჭირდა მოსალოდნელზე მეტი დრო, რამაც მომსახურების შესყიდვის პროცესის გადავადება გამოიწვია, რის გამოც ასიგნებების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 30%-ზე მეტია			